სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/218

ქ. თბილისი 25 დეკემბერი 2023 წ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დიზაინის საერთაშორისო სკოლის დებულების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის, დიზაინის საერთაშორისო სკოლის დეკანის, პროფესორ ნიკოლოზ შავიშვილის 2023 წლის 05 დეკემბრის MES 0 23 0001649884 სამსახურებრივი ბარათისა და აკადემიური საბჭოს 2023 წლის 25 დეკემბრის №01-05-02/35 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. მოწონებული იქნეს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დიზაინის საერთაშორისო სკოლაში საერთაშორისო ურთიერთობის სფეროში დეკანის მოადგილის თანამდებობის დამატების გამო დებულებაში და სკოლის საშტატო განრიგში წარმოდგენილი ცვლილებები და დასამტკიცებლად გადაეცეს უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს (სენატს).
2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**